№003859 მითითების დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

დარღვევები:

ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილმდებარეობა და გაბარიტი. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ასევე შემცირებულია აღნიშნულ ნიშნულზე სართულის სიმაღლე. შემცირებულია რიგელების გაბარიტი. შენობა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

წამყვანი სპეციალისტი _____ / თ.ხიჯაკაძე

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

მ ი თ ი თ ე ბ ა № 003859

შედგენის თარიღი: 12.12.2018წ.

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

მითითება წარმოადგენს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის ან სამშენებლო საქმიანობაზე სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მასში აღნიშნული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი

ობიექტის დასახელება და მისამართი

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები

_____

_____

_____ რაც

გათვალისწინებულია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ ____ მუხლის ____ ნაწილის ____ პუნქტით. საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება _____ ლარით.

დარღვევის გამოსწორების ვადა _____ დღე.

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით: ა)მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება;

შემოწმების აქტის საფუძველზე თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი” 25-ე მუხლის მე-9 ნაწილი);

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: ა) დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა; ბ) განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები; გ) შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ; დ) არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

_____

_____

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

_____

განთავსების თარიღი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 003859

შედგენის თარიღი: 17.08.2018წ

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში. (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

მითითება გაცემული იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ ——— მუხლის ——— ნაწილის ——— პუნქტით.

გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება 20.07.2018წ

გაცემული № 003859 მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: ს/კ 406180179

ობიექტის დასახელება და მისამართი: 10.08.006.234 შემოწმების მომენტში

მშენებლობის ეტაპი:

შემოწმებით დადგინდა:

20.07.2018 № 003859

რითაც დგინდება, რომ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-9 ნაწილი);

თუ დარღვევა გამოსწორებულია, საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხველი გარემოებები, პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ ან არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი)

თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა აღმოფხვრილ იქნა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ხოლო სამართალდარღვევაზე დაწყებული წარმოება უნდა შეწყდეს („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი);

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

_____

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

_____

_____

_____

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

განთავსდა ობიექტზე (ღობეზე სამშენებლო ჯიხურზე)

24.08.2018წ. განთავსების თარიღი

საგადასახადო დავალება # 0 GEL ს.ს. „თიბისი ბანკი"
Payment Order

თარიღი / Date: 21/01/2019

21/01/2019 1:35:28 PM

გადამხდელი / sender	რეფერენსი / Ref. Num.
LLC Multi Flags, 406180779	2440144566
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE55TB7950836050100001	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's bank — ბანკის კოდი / Bank Code	15,000.00 GEL
სს თიბისი ბანკი — TBCBGE22	
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა inforamtion on a person on behalf of whom the payment is made	თანხა სიტყვიერად Amount in words
დასახელება / Name: LLC Multi Flags, 406180779	თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 406180779	
მიმღები / ReceIver	გადარიცხვის საკომისიო Transfer Fee
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ	7.5 GEL
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773263	
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury — ბანკის კოდი / Bank Code	ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date 21/01/2019
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური — TRESGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details	
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	ხელმოწერა Signature
დადგენილება N 003859 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე	
ხელმოწერები Signatures	შტამპის ადგილი

თიბისი ბანკი TBC BANK
კოდი CODE TBCBGE22 ბ.ა. 036016

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

2440144566

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/02096-18

"17" 12 2018 წ.

დადგენილება №003859
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

17.12.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2018 წლის 20 ივლისის №003859 მითითება და 2018 წლის 17 აგვისტოს №003859 შემოწმების აქტი შედგენილი შპს "მალტი ფლეგს"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №406180779, დირექტორი: მანსურ მაგდი მანსურ ფარაგ ელვერდანი, A02518430 A20185149, ეგვიპტე; მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გზატ. №19, კორპ. №3, სათავსო, I სართული) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპ. №37-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი №5/34), №01.10.08.005.034 საკადასტრო კოდზე მიმდინარეობს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3451373 ბრძანებით (ნებართვა №3157373 22.03.2017წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილმდებარეობა და გაბარიტი. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ასევე შემცირებულია აღნიშნულ ნიშნულზე სართულის სიმაღლე. შემცირებულია რიგელების გაბარიტი. შენობა გადადის №01.10.08.005.139 და №01.10.08.005.144 (წინა ს/კ №01.10.08.005.039) საკადასტრო კოდზე.

2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის მიერ შედგა №003859 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 კალენდარული დღის ვადა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2018 წლის 17 აგვისტოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №003859 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობა.

2018 წლის 11 სექტემბერს გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა, ზეპირი განხილვის თაობაზე სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შედგენილი შპს "მალტი ფლეგს"-ის წარმომადგენელი მოქ. გიორგი კეთილაძე (პირადი №01001091607, მინდ. №2018/09-001 11.09.2018წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მანვე აღნიშნა, რომ წითელი ხაზების რეგისტრაცია შეჩერებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით და შესაბამისად დარღვევის გამოსწორებაც შეუძლებელია. მხარემ ითხოვა საქმისწარმოების ვადის გაგრძელება სასამრთლოს მიერ, მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის საქმეში არსებული გარემოებები მოითხოვდნენ დამატებით გამოკვლევასა და შესწავლას, სამსახურის უფროსის 2018 წლის 17 ოქტომბრის №4-3/178-გ/18 ბრძანებით, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება გაგრძელდა 2018 წლის 17 ოქტომბრიდან 2018 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.

საქმეშია, სამსახურის სპეციალისტის 2018 წლის 17 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ირკვევა, რომ შპს "მალტი ფლეგს"-ის მიერ არ შესრულდა 2018 წლის 20 ივლისის №003859 მითითებით განსაზღვრული პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შედგენილი შპს "მალტი ფლეგს"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპ. №37-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი №5/34), №01.10.08.005.034 საკადასტრო კოდზე მიმდინარეობს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3451373 ბრძანებით (ნებართვა №3157373 22.03.2017წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილმდებარეობა და გაბარიტი. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ასევე შემცირებულია აღნიშნულ ნიშნულზე სართულის სიმაღლე. შემცირებულია რიგელების გაბარიტი. შენობა გადადის №01.10.08.005.139 და №01.10.08.005.144 (წინა ს/კ №01.10.08.005.039) საკადასტრო კოდზე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შპს "მალტი ფლეგს" დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შპს "მალტი ფლეგს"-ის დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს "მალტი ფლეგს"-ის დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევთ განემარტოთ, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ქ. ჯაყელი